საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/98 "13" ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ნ. მამულაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 5 აგვისტოს №1/77 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 37 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას ახორციელებს 30 მოსამართლე.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის განაცხადი, მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ნინო მამულაშვილის განაცხადი.

ნინო მამულაშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2020 წლიდან თანამდებობაზე განწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ნ. მამულაშვილის გამოცდილება და მოტივაცია წარმოაჩენს მის შესაბამის უნარს, წარმატებით შეძლოს საქმიანობის გაგრძელება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გამოირჩევა საქმეთა დიდი ნაკადითა და მოსამართლეთა მაღალი დატვირთულობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ნინო მამულაშვილი გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე